პროგრამის აღწერა	წყალმომარაგების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის ასევე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას. პროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის წყალმომარაგება. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: 1. წყლის სისტემის ექსპლოატაცია, რომელსაც ახორციელებს შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანია (რომლის მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება-ექსპლუატაცია, წყლის მიწოდების რეგულაცია უბნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ ისარგებლოს წყალმომარაგებით. 2. წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივ მოქმედ პროგრამას.		

	კოდი	2023 წლის დაფინანსება
--	------	-----------------------



ქვეპროგრამის დასახელება		წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაცია	(ათას ლარში)
	02 02 01		735.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ჭიათურის წყალი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანიის სუბსიდირებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობას რათა შეუფერხებლად მოხდეს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 02 02		486.430
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსოფელში სკინდორში და ჭილოვანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებს, სოფელ მორძგეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა.განხორციელდება:სოფელ გეზრულში „პატიკების წყაროს“ რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ სვერში ღვალამეხის უბანში არსებული წყაროს რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ თვალუეთში ბოგირთან მდებარე წყაროსა და წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ თვალუეთში „კოდიწყლის უბანში“ წყაროების(2ლოკაციაზე) მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03		778.100
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ ჭიათურაში, ჯარბელის დასახლებიდან სოფელ ბერეთისის მიმართულებით არსებულ მონაკვეთზე, სოფელ წასრის, სოფელ პერევისის და სოფელ ხრეთის გარკვეულ უბნებში. ქალაქ ჭიათურასა და ქალაქ საჩხერეს შორის არსებულ საავტომობილო გზის მონაკვეთზე. გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქის მთელი ტერიტორია და მუნიციპალიტეტის სოფლების დასახლებული ტერიტორიის 5%. 1. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 2. გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა და რეაბილიტაცია. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს		



გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.
პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		560.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 99%.ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა და რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		218.100
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ჭიათურაში ჭავჭავაძის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია). ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		3434.072
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფლებისა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (არნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო).აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება: 1. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს შპს „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“. 2. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით		



არის მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი.

მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება თავისი შინაარსით წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		2726.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირების პროგრამა ითვალისწინებს საბაგირო გზის ექსპლოატაციის ხარჯებს რაც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და იმ სოფლებისა და დასახლებული უბნების საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას სადაც მგზავრთა გადაყვანა ახორციელებდა საბაგირო ტრანსპორტი (აღნიშნული ტრანსპორტის ფუნქციონირება შეჩერებულია მათი ამორტიზაციის გამო). ასევე ახორციელდება ქალაქ ჭიათურაში და მასში შემავალი სოფლებში მისასვლელი ცენტრალურ გზებზე დაზიანებული ორმოლების შეკეთებას. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და საკუთარი შპს-ს შემოსავლები, რომელსაც იღებს მგზავრთა მომსახურებიდან.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		708.072
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი იქნება ოთხი ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც მოემსახურება მგზავრების გადაყვანას სხვადასხვა მიმართულებით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მგზავრთა კომფორტული გადაადგილება. მიმდინარე წელს გადახდილი იქნება ღირებულების 40%. ასევე გაათვალისწინებულია ერთი ერთეული სანაგვე მანქანის შეძენა, რომელზეც ავანსის სახით წელს გაიცემა 40%.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		609.000
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება. ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორიცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.		
	პროგრამა მუნიციპალური ამხანაგობების ხელშეწყობას და უზრუნველყოფს ისეთი პროგრამების განვითარებას როგორცაა:		
	1. მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია 2. საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, სახურავი მასალის შეძენას. 3. საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა კომფორტული გადაადგილებისათვის საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენას. მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებისათვის უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლებისათვის რბილი გადახურვისა და ლითონის სახურავის შეძენასა და გადაცემას ამხანაგობებისათვის. აგრეთვე უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების საქსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებისა და იერსახის შენარჩუნებისათვის ფასადების რეაბილიტაციის (შეღებვა-შეკეთების) სამუშაოებს. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია სახურავის მასალის შეძენა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		606.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით მიმდინარე წელს ძლიერი ქარის შედეგად ჭიათურის სოფლებსა და ქალაქში განთავსებული შენობების დაზიანებული სახურავების მასალის შეძენა.ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდება სახურავი მასალის შეძენის ხარჯები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		3.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება, რითაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და საცხოვრებელი კორპუსი მეტად დაცული იქნება გარე ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორცაა წვიმა და თოვლი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ჭიათურაში ჭავჭავაძის ქუჩაზე №1 და №3 საცხოვრებელი სახლების ფასადების საპროექტო სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		2925.853



პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. ვინაიდან ჭიათურა არის მარგანეცის მომპოვებელი რომლის ტრანსპორტირება ხდება მარალი გამავლობის ავტომობილებით აქედან გამომდინარე ხშირია დამტვერიანება, ასეთი გლობალური პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებლობას წარმოადგენს მწვანე ნარგავების განაშენიანება. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		1499.301
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს გამწვანებული და ეკოლოგიურად სფუთა გარემო. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება ჭიათურაში საშევარდნოს კლდესთან გადმოსახედის მოწყობა, (ხელშეკრულება გაფორმებულია). ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია). ასევე განხორციელდება ქ.ჭიათურაში, წმინდა გერმანეს ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე პავილიონების საყრდენი კედლის მოწყობის მეხამრიდების მონტაჟის, ფანჩატურის მოწყობის და შემოდგომის სამუშაოები ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა.აგრეთვე განხორციელდება:ჭიათურაში 4 ერთეული ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები; 20 ერთეული სკამის შეძენა და განთავსება სკვერებში; ქ. ჭიათურაში აღმაშენებლისა და ვაჩნაძის ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები. სიგულდას და ჭილაძის სკვერის საპროექტო სამუშაოები; სვერში ე.წ., თავის ტკივილის“ წყაროსა და წყაროს მიმდებარედ სკვერის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; მღვიმევის მონასტრის წინ სკვერისა და ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სამუშაოები; საჩხერის გზატკეცილზე მეორე ატეკის მოპირდაპირე მხარეს სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, მემორიალზე ფაცხების მოწყობის საპროექტო სამუშაოები, მდინარე კაცხურაზე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო სამუშაოები, ლეჟუნის სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02		1426.552
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლის კრებების შედეგად არჩეული და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ პროექტებს. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მოხდება აღნიშნული პროექტების თანადაფინანსება. განხორციელდება სოფელ მორძვეთში და სოფელ დარკვეთში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა (ხელშეკრულება გაფორმებულია)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2023 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად,



ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორიცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო ასრულების კუთხით ჩართულია „ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და გარემოს დაცვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 00		3113.580
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით.განხორციელდება სანაგვე ურნების შეძენა და საჭიროებისამებრ განთავსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2819.580
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით, ასევე განხორციელდება ნაგუთის დასახლებაში ცენტრალური სასაფლაოს კეთილმოწყობის სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ქვათაცვენის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		197.000
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვათაცვენის ლიკვიდაციის ღონისძიების აღმოფხვა რათა მოსახლეობის გადადგილება მოხდეს უსაფრთხოდ. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საშევარდნოს კლდისა და მიმდებარე ფერდობზე ქვათაცვენის პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი დასკვნისა და საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. (ხელშეკრულება გაფორმებულია)		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების აღდგენა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		97.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, რათა უზვი ნალექიანობისას არ მოხდეს სავალი ნაწილების დატბორვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ითხვისში მოცრაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილ №5-7 ის შორის სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები,სოფელ უსახელოში პაპიძეებისა და ლაშეს უბანში სანიაღვრე არხების საპროექტო სამუშაოები. 2023 წლის 18 სექტემბრის № 1673 განკარგულების ფარგლებში განხორციელდება სოფელ ითხვისში მოცრაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა, ქალაქ ჭიათურაში თავისუფლების ქუჩა №1-ის შესახვევში სანიაღვრე არხის აღდგენის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში ერისთავის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.		

მუხლი 15. განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		6118.528
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იკ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავდროულად მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 32 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1450-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 798 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:		
	1. ბავშვ-ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; 2. ბავშვ-ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; 3. ბავშვ-ბავშვებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;		



4. ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
5. ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
6. ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		147.200
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება №3; №4, №7 საბავშვო ბაღების გათბობის სისტემის მოწყობისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		1307.120
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.



ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		3908.522
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: -ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა -ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა -ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა -სპორტული ობიექტები სარაგბო კლუბი მათე. -განხორციელდება თორღვაშვილის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უნივერსალის მიმდებარედ საცურაო აუზის მოწყობის სამუშაოები და თემურ მაღრაძის სახელობის სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		2223.236
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა სპორტული ღონისძიებები სარაგბო კლუბი მათეს დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		1392.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27-ე კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა დარგის (ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ №27-ე კომპლექსურ სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. სულ აღნიშნულ სკოლაში სპორტის 16 სახეობაში დადის 606 ბავშვი, მათ შორის: გოგო 79 და ბიჭი 527. პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში ცედეფეზე განთავსებული სპორტული კომპლექსის მოწყობის სამუშაოები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 165 სპორტსმენს და 12 მწვრთნელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ რაგბის სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგბეებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს.სკოლაში არის ხუთი ასაკობრივი გუნდი და ორი ჭაბუკთა გუნდი „ა“ და „ბ“ ლიგაში მონაწილეობისათვის. პროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		481.236
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა საიდანაც ხორციელდება სკოლის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის სხელფასს. პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე. ა(ა)იპ-ში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 180 ბავშვს,		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		370.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ ჭიათურის მორაგბეთა კლუბ „მათე“-ს. რომელიც ასპარეზობს პირველ ლიგაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1315.286
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ჭიათურაში „უნივერსალის მიმდებარე ტერიტორიაზე საცურაო აუზის მოწყობის სამუშაოები, ნაგუთის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ჭიათურაში თორღვაშვილის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჩოგბურთის კორტის და სხვადასხვა სპორტული ობიექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა. განხორციელდება ჭიათურაში ვია-ფერატას მოწყობის საპროექტო სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		4946.995
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი: ა(ა)იპ №1 და № 2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სხვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) და დაფინანსდება რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები, აგრეთვე განხორციელდება ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა და კულტურის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		3103.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი: სსიპ რიტუალების სახლი, ა(ა)იპ №1 დ №2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას)		
----------------------------------	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		419.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა. მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს 366 მოსწავლეს (მათ შორის: 240 გოგო; 136 ბიჭი, საიდანაც 88 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 80 მოსწავლე, ობოლი 12 მოსწავლე, დევნილი 5 მოსწავლე, მრავალშვილიანი 35 მოსწავლე, ლაურეატი 62 მოსწავლე, ფოლკლორის 84 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		259.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლას მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს173 მოსწავლეს (მათ შორის: 123 გოგო; 40 ბიჭი, საიდანაც 34 მოსწავლე იხდის სწავლის საფასურს, რაც შეადგენს 15 ლარს თვეში. სოციალურად დაუცველია 77 მოსწავლე, დევნილი 4 მოსწავლე, მრავალშვილიანი 9 მოსწავლე, ლაურეატი 64 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახვითი ხელოვნების განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		201.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლას. სადაც სწავლობს 238 ბავშვი(მათ შორის გოგო 151; 87 ბიჭი), სახვითი ხელოვნების განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება კონკურსებსა და გამოფენებში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		364.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქვეპროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა დამუშავება, საკატალოგო მუშაობის წარმოება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო პროცესში ელექტრონული საცნობარო ბაზის შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		1860.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი რომლის მიზანია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ტეტრალური ხელოვნების საგუნდო და ფოლკლორული ანსამბლების განვითარება და პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მასში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი: 1)აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი- სოფელ ცხრუკვეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჭიათურაში და მთამსვლელ და-მმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი სოფელხრეთში. სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი აერთიანებს 786 მოსწავლეს(მათ შორის: გოგო 474 და ბიჭი 272).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		490.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა		

სამსახური	სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ორგანიზებას; განხორციელება საახალწლო ღონისძიებისა და სახალხო დღესასწაულის, „ჭიათურობის დაფინანსება“ და სხვა ღონისძიებების დაფინანსება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		1023.995
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება ქორწინების სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები და სსიპ ჭიათურის რაიონის სასწავლო-საგანმანათლებლო კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის თოჯინების თეატრის შიდა კოსმეტიკური რემონტი და მთავარი საკონცერტო დარბაზისათვის სკამების შეძენის თანადაფინანსება, განხორციელდება ქორწინების სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები, სსიპ ჭიათურის რაიონის სასწავლო-საგანმანათლებლო კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის შესასვლელის მოწყობა ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		330.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და სხვა მიმდინარე საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილე ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება;		
	ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა;		
	დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;		
	წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდების, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და ინდივიდი სპორტსმენების დაჯილდოება;		

ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება'

წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება'ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;

სასკოლო სპორტული ოლიმპიადაში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შეძენა.

მუხლი 17.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 06 01

